



კვირის მიმოხილვა

კვირის მიმოხილვა | საქართველო
2 ივლისი, 2018

ეკონომიკა


საქართველოს ეკონომიკა 7.5%-ით გაიზარდა 2018 წლის მაისში საქსტატის წინასწარი მონაცემებით. მაისში, ზრდა აღინიშნებოდა შემდეგ დარგებში: ტრანსპორტი, დამამუშავებელი მრეწველობა, ვაჭრობა, საფინანსო საქმიანობა და რესტორნები და სასტუმროები. ჯამურად, 2018 წლის პირველ ხუთ თვეში მშპ-ს რეალურმა ზრდამ 6.1% შეადგინა. რეალური მშპ-ის ყოველთვიური მაჩვენებელი იანვარიდან დღე-ის ბრუნვების, ფისკალური და მონეტარული მონაცემების საფუძველზე.

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი წლიურად 17.7%-ით გაიზარდა 428.0 მლნ აშშ დოლარამდე და მშპ-ის 11.6% შეადგინა (+0.233 წ/წ) 2018 წლის პირველ კვარტალში ეროვნული ბანკის მონაცემებით. მიმდინარე ანგარიშის უარყოფითი სალდოს ფორმირებაზე, ტრადიციულად, ძირითადი ზეგავლენა საქონლით ვაჭრობის უარყოფითმა ბალანსმა იქონია, რომელიც წლიურად 18.9%-ით გაიზარდა 971.0 მლნ აშშ დოლარამდე, რადგან საქონლის ექსპორტი 26.5%-ით, ხოლო იმპორტი 22.6%-ით გაიზარდა. მომსახურებით ვაჭრობის დადებითი ბალანსი, წლიურად 17.6%-ით გაიზარდა და 378.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (მშპ-ს 10.3%). მომსახურების დადებითი ბალანსი მნიშვნელოვნად ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა დააგენერირა (+29.4% წ/წ). მიმდინარე ტრანსფერტების დადებითი სალდო 340.7 მლნ აშშ დოლარი იყო (+13.0% წ/წ, მშპ-ს 9.3%). ერთობლივად, მომსახურების და ტრანსფერტების ბალანსმა საქონლით ვაჭრობის ბალანსის 74% დააფინანსა. წმინდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (მშპ-ს 4.8%) და სხვა ინვესტიციების (მშპ-ს 7.9%) კატეგორიები წარმოადგენდნენ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების ძირითად წყაროებს.

საბანკო სექტორი: კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების მოცულობა 2018 წლის მაისში წლიურად 20.0%-ით გაიზარდა და 22.9 მლრდ ლარი შეადგინა (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, სესხების ზრდა 18.6% იყო). ამასთან, საბანკო სექტორში განთავსებული დეპოზიტების მოცულობა 2018 წლის მაისში წლიურად 22.3%-ით გაიზარდა 20.0 მლრდ ლარამდე (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით ზრდა 20.6% იყო). 2018 წლის მაისში დეპოზიტების დოლარიზაცია 62.3%-მდე შემცირდა (-6.333 წ/წ და -0.233 თ/თ). საანგარიშო პერიოდში უმოქმედო სესხებმა 2.6% შეადგინა (-1.133 წ/წ და უცვლელი თ/თ).

სავალუტო ინტერვენციები: 2018 წლის 25 და 28 ივნისს ეროვნულმა ბანკმა სავალუტო აუქციონებზე ჯამურად 20.0 მლნ აშშ დოლარი შეისყიდა. 2018 წლის დასაწყისიდან სებ-მა 4 ინტერვენცია განახორციელა და სულ 50.0 მლნ აშშ დოლარი შეისყიდა.

სესხების და დეპოზიტების დოლარიზაცია



წყარო: სებ


ეკონომიკური ინდიკატორები

	5M18	2017	2016
მშპ (%-ლი ცვლილება)	6.1%	5.0%	2.8%
მშპ ერთ სულზე (ppp)	...	10,644	10,043
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	...	4,068	3,857
მოსახლეობა (მლნ)	3.7	3.7	3.7
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	2.5%	6.7%	1.8%
მთლიანი რეზერვები (მლრდ აშშ \$)	3.0	3.0	2.8
მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (მშპ-ს %)	11.6% ⁽¹⁾	8.7	12.8%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	...	3.9%	4.1%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	...	44.6%	44.4%

წყარო: ოფიციალური მონაცემები

1) 2018 წლის პირველი კვარტალის მდგომარეობით

მშპ-ს რეალური ზრდა, %



წყარო: საქსტატი

საერთაშორისო რეიტინგები, 2017-18

- ბიზნესის კეთების სიმარტივე №9 (საუკეთესო 10-ეული)
- ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი №16 (ძირითადად თავისუფალი)
- გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი №67

წყარო: მსოფლიო ბანკი, Heritage Foundation და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი

საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი

 BB- სტაბილური დადასტურებული მაისი-2017	 Ba2 სტაბილური დადასტურებული სექტემბერი-2017	 BB- პოზიტიური დადასტურებული მარტი-2018
--	---	--

წყარო: სარეიტინგო სააგენტოები




ფულადი ბაზარი

რეფინანსირების სესხები: საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გასულ კვირას 900 მლნ ლარის (366.6 მლნ აშშ დოლარი) ღირებულების 7-დღიანი რეფინანსირების სესხები გასცა.


საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2018 წლის 27 ივნისს 5-წლიანი 30 მლნ ლარის (12.2 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის ბენჩმარკ ბონდები გაყიდა. საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 7.748% შეადგინა. უახლოესი აუქციონი დაგეგმილია 2018 წლის 4 ივლისს, სადაც 1-წლიანი 40 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები გაიყიდება.

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სეზ

სადეპოზიტო სერტიფიკატები (საშუალო შეწონილი განაკვეთი)




წყარო: სეზ

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი



წყარო: სეზ

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სეზ

შენიშვნა: ინდექსის ზრდა ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას, ხოლო კლება - გაცვლითი კურსის გაუფასურებას




ობლიგაციები

კორპორატიული ევროობლიგაციები: საქართველოს ბანკის ჯგუფის ევროობლიგაცია (GEBGG) დაიხურა 6.0%-იანი შემოსავლიანობით, ფასით - 99.9 (-0.04% წინა კვირასთან შედარებით). საქართველოს ბანკის ლარში დენომინირებული ევროობლიგაცია GEBGG 06/20-ით ვაჭრობა დაიხურა ფასით 100.0 (-0.05% წინა კვირასთან შედარებით), 10.7%-იანი შემოსავლიანობით. საქართველოს კაპიტალის ევროობლიგაციები GEOCAP 03/24-ით ვაჭრობა დაიხურა ფასით 94.3 (-0.1% წინა კვირასთან შედარებით), 7.4%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ევროობლიგაციები GEOROG 04/21-ით ვაჭრობა დაიხურა ფასით 101.0 (+0.2% წინა კვირასთან შედარებით), 6.3%-იანი შემოსავლიანობით. საქართველოს რკინიგზის ევროობლიგაცია (GRAIL) ივაჭრებოდა 105.5 ფასად (+0.3% წინა კვირასთან შედარებით), 6.2%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს სუვერენული ევროობლიგაცია (GEORG) დაიხურა ფასით - 106.7 (+0.2% წინა კვირასთან შედარებით), 4.3%-იანი შემოსავლიანობით.

ევროობლიგაციები (შემოსავლიანობა %)




	Local bonds				Eurobonds					
	GWP 12/21	M2RE 10/19	Nikora 06/19	GLC 08/20	GEOCAP 03/24	GEBGG 06/20	GEOROG 04/21	GEBGG 07/23	GEORG 04/21	GRAIL 07/22
მოცულობა მლნ აშშ \$	30*	25.0	10.0	10.0	300	500*	250	350	500	500
გამოშვების თარიღი	12/16	10/16	08/17	8/17	03-18	06-17	04/16	07/16	04/11	07/12
დაფარვის თარიღი	12/21	10/19	06/19	8/20	03-24	06-20	04/21	07/23	04/21	07/22
კუპონი, %	10.75**	7.5	9.0	7.00	6.125	11.0	6.750	6.000	6.875	7.750
Fitch/S&P/Moody's	BB-/I/-	-/-	-/-	n/a	-B+/B2	BB-/B2	BB-/B2	BB-/B2	BB-/B2	B+/B2
საშუალო ფასი, აშშ \$	n/a	102.5	101.3	102.05	94.3	100.0	101.0	99.9	106.7	105.5
საშუალო პროცენტი %	n/a	5.5%	3.8%	6.00%	7.4	10.7	6.3	6.0	4.3	6.2
Z-spread, bps	n/a	n/a	n/a	n/a	448.6	346.1	350.4	313.7	146.0	332.7

წყარო: ბლუმბერგი

*GWP 12/21 და GEBGG 06/20 მოცემულია ლარში

** მცურავი განაკვეთი (სებ-ის რეფინანსირების განაკვეთის დამატებული 3.5%)

Georgian Eurobond universe



აღმოსავლეთ ევროპის 10-წლიანი სუვერენული ევროობლიგაციების ძირითადი მონაცემები

ქვეყანა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი, %	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody's)	საშუალო ფასი, აშშ \$	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
საქართველო	500	6.875%	12/04/2021	BB-/BB-/Ba2	106.7	4.3	146.0
აზერბაიჯანი	1,250	4.750%	18/03/2024	BB+/-/Ba2	99.4	4.9	198.5
ბულგარეთი	323	5.000%	19/07/2021	BBB-/I/-	115.0	0.1	-28.3
ხორვატია	1,250	3.875%	30/05/2022	BB+/BB+/Ba2	110.8	1.0	95.2
უნგრეთი	3,000	6.375%	29/03/2021	BBB-/BBB-/Baa3	107.0	3.7	82.8
რუმინეთი	2,250	6.750%	07/02/2022	BBB-/BBB-/Baa3	109.2	4.0	112.1
რუსეთი	3,500	5.000%	29/04/2020	BBB-/BBB-/Ba1	102.5	3.6	80.0
თურქეთი	2,000	5.625%	30/03/2021	BB+/-/Ba2	99.6	5.8	295.9

წყარო: ბლუმბერგი



აქციები

საქართველოს ბანკის ჯგუფის (BGEO LN) აქციები დაიხურა 18.85 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -2.19% წინა კვირასთან შედარებით და +1.14% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 519 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 18.84 – 19.63 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 131 ათასი აქცია შეადგინა.

Georgia Capital-ის (CGEO LN) აქციები დაიხურა 10.30 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -9.01% წინა კვირასთან შედარებით და -7.51% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 581 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 10.25 – 11.55 დიაპაზონში.

თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN) აქციები დაიხურა 17.46 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (+3.31% წინა კვირასთან შედარებით და +8.72% წინა თვესთან შედარებით). ვაჭრობის მოცულობამ 197 ათასს გადააჭარბა, GBP 16.54 – 17.50 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 47 ათასი აქცია შეადგინა.

საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის (GHG LN) აქციები დაიხურა 2.52 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (-1.37% წინა კვირასთან შედარებით და -13.43% წინა თვესთან შედარებით). ვაჭრობის მოცულობამ 173 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 2.39 – 2.59 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 20 ათასი აქცია შეადგინა.

აღმოსავლეთი ევროპის ბანკები

კოდი	აქციის ფასი, აშშ \$	კაპიტალიზაცია, მლნ აშშ \$	1თვე, ცვლ.	3თვე, ცვლ.	6თვე, ცვლ.	წლის დას. ცვლ.	წ/წ ცვლ.
Bank of Georgia	BGEO	18.85*	1,224	1.1%	-21.6%	-21.7%	-19.5%
TBC	TBC	17.46*	1,251	8.7%	-5.1%	-0.2%	11.6%
Halyk Bank	HSBK	12.10	3,326	-1.2%	-12.3%	22.5%	34.1%
KKB	KKB	0.68	712	0.0%	0.0%	0.0%	4.6%
VTB Bank	VTBR	1.52	9,869	-8.3%	-22.2%	-16.8%	-27.5%
Vozrozhdenie Bank	VZRZ	6.22	148	5.6%	-15.1%	-28.5%	-50.3%
Sberbank	SBER	14.44	77,902	0.2%	-22.5%	-14.7%	41.9%

წყარო: ბლუმბერგი

*BGEO და TBC აქციების ფასი მოცემულია ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში

ინვესტიციების მართვის შესადარი კომპანიები

	კოდი	აქციის ფასი, აშშ \$	კაპიტალიზაცია, მლნ აშშ \$	1თვე, ცვლ.	3თვე, ცვლ.	6თვე, ცვლ.	წლის დას. ცვლ.	წ/წ ცვლ.
Georgia Capital	CGEO	10.3*	527	-7.5%	N/A	N/A	N/A	N/A
Creades	CREDA	30.83	382	3.1%	-19.7%	-15.4%	-15.4%	-1.6%
Compagnie du Bois	COMB	467.97	789	2.6%	-3.9%	8.8%	8.8%	23.6%
Tinc Comm	TINC	14.00	382	0.2%	-3.4%	-7.3%	-7.3%	-0.9%
Edify	EDIFY	71.19	346	-1.4%	-9.5%	3.9%	3.9%	15.3%

წყარო: ბლუმბერგი

*CGEO აქციის ფასი მოცემულია ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში


ჯანდაცვის სექტორის შესადარი კომპანიები

კოდი		აქციის ფასი, აშშ \$	კაპიტალიზაცია, მლნ აშშ \$	1თვე, ცვლ.	3თვე, ცვლ.	6თვე, ცვლ.	წლის დას. ცვლ.	წ/წ ცვლ.
GHG	GHG	2.515*	437	-13.4%	-18.6%	-29.2%	-29.2%	-29.5%
Mouwasat	MOUWASAT	25.06	2,506	4.4%	6.7%	24.2%	24.2%	18.9%
Fortis	FORH	1.97	1,021	-7.3%	4.0%	-21.6%	-21.6%	-22.4%
Raffles	RFMD	0.74	1,313	-7.0%	-15.5%	-11.6%	-11.6%	-23.7%
IHH	IHH	1.51	12,474	0.6%	-2.4%	4.9%	4.9%	9.8%
Bangkok Chain	BCH	0.46	1,155	-11.3%	-14.4%	-6.9%	-6.9%	14.9%
Netcare	NTC	2.01	2,963	-14.7%	-14.7%	-0.8%	-0.8%	3.9%

წყარო: ბლუმბერგი

*GHG აქციის ფასი მოცემულია ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში

საქართველოს ბანკის ჯგუფი (BGEO LN)




მოცულობა, მლნ (მარჯვ. ღერძი)

ბოლო ფასი, ფუნტ სტერლინგი (მარცხ. ღერძი)

წყარო: ბლუმბერგი

საქართველოს კაპიტალი (CGEO LN)



მოცულობა, მლნ (მარჯვ. ღერძი)

ბოლო ფასი, ფუნტ სტერლინგი (მარცხ. ღერძი)

წყარო: ბლუმბერგი


თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)



მოცულობა, მლნ (მარჯვ. ღერძი)

წყარო: ბლუმბერგი

საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი (GHG LN)



მოცულობა, მლნ (მარჯვ. ღერძი)

ბოლო ფასი, ფუნტ სტერლინგი (მარცხ. ღერძი)

წყარო: ბლუმბერგი



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი მკაცრად კონფიდენციალურია და მომზადებულია სს "გალტი & თაგარტი" ("Galt & Taggart") მიერ, რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტი & თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტი & თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთი ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტი & თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომზადება რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამოწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განხილუდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტი & თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტი & თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეხანაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტი & თაგარტი არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომზადება ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტი & თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამოწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტი & თაგარტის მიერ კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამოწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტი & თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევის, ამ დოკუმენტის სარგებლიანობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტი & თაგარტი და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტირება უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ეს დოკუმენტი კონფიდენციალურია გალტი & თაგარტის კლიენტებისთვის და კვლევითი მასალების გამომწერებისთვის. ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტი & თაგარტი
მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: gt@gt.ge